


## პასუხები კითხვებზე

როგორ გრძნობ თავს, როცა ვინმე შენი რელიგიის შესახებ კითხვას გისვამს? ბუნებრივია, თუ ამ დროს ღელავ. წაიკითხე იერემიას 1:6–8 და ნახეთ, რა აწუხებდა მას და როგორ გაამხნევა იეჰოვამ. ის დაეხმარა იერემიას და შენც დაგეხმარება, რომ საკუთარ მრწამსზე თამამად შეძლო სხვებთან საუბარი! თუ ამისთვის წინასწარ მოემზადები, ეს თავდაჯერებას შეგმატებს. ესტუმრე განყოფილებას „ხშირად დასმული კითხვები“ ჩვენს ვებ-გვერდზე და ოჯახთან ერთად განიხილე ზოგი კითხვა (იხილე განყოფილება ჩვენ შესახებ > ხშირად დასმული კითხვები). შეარჩიე ისეთი კითხვა, რომელიც შეიძლება დაგისვან მსახურების დროს. წაიკითხე პასუხი. შემდეგ თითოეული თქვენგანი შეეცადეთ, საკუთარი სიტყვებით უპასუხოთ აღნიშნულ კითხვას. რიგრიგობით დაუსვით ერთმანეთს კითხვები და გაიმეორეთ პასუხები. ბავშვის თავთან მოცემულ რეპლიკისთვის განკუთვნილ ადგილას ჩაწერე კითხვა, რომელიც შესაძლოა მსახურებაში დაგისვან. შენი პასუხი კი რეპლიკისთვის განკუთვნილ მეორე ცარიელ ადგილას ჩაწერე.



► **მითითება:** გაივე მეტი წინასწარმეტყველ იერემიაზე. ჩვენი ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთეთ ბიბლიური პერსონაჟის, იერემიას, ბარათი (ეწვიე განყოფილებას ბიბლიური სწავლებები > ბავშვები > ბიბლიური ბარათები). შეეცადე, უპასუხო ბარათზე მოცემულ კითხვებს. შემდეგ კი გაეცანი ამავე ბარათზე მოცემულ სწორ პასუხებს.